VTB

საგადახდო დავალება
Payment Order

N 65

გადამხდელი/Payer	შპს პრიმა სერვისი, 400002484 400002484	თარიღი/Date	18/03/2016
გადამხდელის ანგარიში/Payer's	GE88VT7044444444443602	თანხა Amount	
გადამხდელის ბანკი/Payer's	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"		
ბანკის კოდი/Bank Code	UGEBGE22		3,000.00 / GEL
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა Information about the person on behalf of which the payment is carried out		თანხა სიტყვიერად/Amount in words	
დასახელება/Denomination	შპს პრიმა სერვისი, 400002484		სამი ათასი ლარი 00 თეთრი
საიდენტიფიკაციო კოდი/Identification Code	400002484		three thousand Lari 00 Tetri.
მიმღები/Receiver	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ		
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი Breneficiary's Account/Treasury Code	300773263	ბანკის აღნიშვნები Bank Signs	
მიმღების ბანკი/ხაზინა Beneficiary's Bank/Treasury	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახუ	ბანკში შემოსვლის თარიღი/Delivery Date into the Bank	18/03/2016
ბანკის კოდი/Bank Code	TRESGE22	გატარების თარიღი/Transaction Date	18/03/2016
გადახდის დანიშნულება Payment Purpose	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი		
დამატებითი ინფორმაცია/Additional		ხელმოწერა/Signature	
დადგენილების ნომერი 000998 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე			
ხელმოწერები/Signatures		შტამპის ადგილი Place for Stamp	

ბ.ა./Place for

223962875

18/03/2016 12:08:20

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ე 312-16

"15" 03 2016წ.

დადგენილება №000998
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.03.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფარიძემ განვიხილე 2016 წლის 05 იანვრის №000998 მითითება და 2016 წლის 15 თებერვლის №000998 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "პრიმა სერვისი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №400002484, დირ. დავითი დანელია (პირადი №01023002374), მის: ქ. თბილისი სანზონა, კორპ. №16/ბ, ბ.№10) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) I-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქსნის ქუჩისკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის (ნაკვეთი №39/061), საკ. კოდი №01.12.08.039.061-ში შ.პ.ს. "პრიმა სერვისი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, ავტოტექმომსახურება) მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1830938 AR1292638 08.04.2015წ. №1844840 AR1301213 22.04.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: შემცირებულია კოლონების რაოდენობა და შეცვლილია ადგილმდებარეობა. გაზრდილია რიგელების სიმაღლე. გაზრდილია სართულების სიმაღლე. ±0.000 ნიშნულზე „1-10" მონაკვეთში „ხ-ხ" ღერძთან კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რაც ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს. +3.200 ნიშნულზე შემცირებულია კოლონების გაბარიტი, ამავე ნიშნულზე „1-2" და „9-10" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძთან დამატებით გაუქმებულია სართულშუა ფილა

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 05 იანვრის შედგენილ იქნა მითითება №000998, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2016 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000998, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; მხარის №85554/12 10.03.2016წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება სამსახურის №000998 05.01.2016წ. მითითებით დაწყებულ წარმოებას და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება მხარის დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "პრიმა სერვისი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო საქმართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ქსნის ქუჩისკენ მიმავალ გზასა და რკინიგზას შორის (ნაკვეთი №39/061), საქ. კოდი №01.12.08.039.061-ში შ.პ.ს. "პრიმა სერვისი"-ს მიერ განხორციელდა მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, ავტოტექმომსახურება) მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №1830938 AR1292638 08.04.2015წ. №1844840 AR1301213 22.04.2015წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "პრიმა სერვისი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "პრიმა სერვისი"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების** დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების** ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "პრიმა სერვისი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჭ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაველი